მეფის ანდერძი

იყო მეფე ერთი და, რა მოიწია დღე სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძესა თვისსა და უთხრა: სხვას ანდერძს არას გეტყვი, ოღონც ეს ათავო: ქოსა კაცი შენს საბრძანებელში ნუ გინდაო!

მოკვდა მეფე, და გამეფდა ძე მისი. ასრე სძულდა ქოსა კაცი, მის სახსენებელს ვერავინ ახსენებდა.

დღესა ერთსა ერთმან ქოსამან ყვავილი მოუძღვნა. იწყინა, მიუშვა ხელარგნოსანი კაცი, ეგოდენი ჰკრეს, შებნდა. შეეცოდა მეფესა და თქვა: ნუ მოკლავთ, ბრალია, ერთს სახლში შეიყვანეთ, ეგება არ მოკვდეს და გააძეთო!

მზარეულთ–უხუცესმა წაიყვანა. ქოსა ეშმაკობით იქმოდა და მორჩა. ასეთი საჭმლის კეთება დაიწყო, მეფე მის მეტს აღარას სჭამდა.

შეუყვარდა მზარეულთ–უხუცესს და აპატივა. დაიწყო ამხანაგებში ჭადრაკის მღერა და ასეთი არავინ გამოჩნდა, მისთვის ეჯობნა.

ესმა ვაზირსა, დია უყვარდა ჭადრაკის მღერა და კარგადაც იცოდა. მიიყვანა ვაზირმან, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა.

მის ქოსის ქებამ მეფემდის მიაწია. მიაყვანინა მეფემან, ვაზირსა და მას ჭადრაკი ამღერა. აჯობა ვაზირსა და დიდად შეუვიდა მეფესა.

გამოხდა ხანი. მას ვაზირსა ვაზირობა წაართვა და ქოსას მისცა. ასეთი ყმა შეიქმნა ქოსა, მის გარდავლილს არას იქმოდის მეფე.

მოუხდა მტერი. ვეღარ გაუმაგრდა. რაც ეზიდებოღა ორს ცხენს, თვალ–მარგალიტი აჰკიდა, ერთზე თვით შეჯდა, ერთზე ქოსა ვაზირი შესვა და გარდაიხვეწნენ.

მივიდნენ სხვას სამეფოსა. ვაზირმან ურჩივა: შენ ყმა კაცი ხარ და მე ხანდაზმული ვარ. აქ რომ შენ პატრონობა სთქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოსო და პატივი არ დაგვდვანო. თუ დამიჯერებ, შენ ჩემი ყმობა თქვი და მე შენს პატრონობას ვიტყვიო.

მეფემ უთხრა: ეგეც აგრე იყოს: რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებაო!

– ვიცი, შენც მას ქოსასავით ხომ ქოსა ხარ და კარგსიტყვა და ენიანი: ასეთსაც იტყვი, კაცი დააჯერო. მას ქოსასავითაც გინდა ჰქმნა, თუ დრო დაიეც.

თქვა რუქამ არაკი: